წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 9 ივლისი 1915 წ. № 39

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება

## „ალექსანდრეული“

5 ამა ივლისს დაიწყო ღვინით ვაჭრობა რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები

ოლღას ქუჩა სახლი № 8.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი“

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**
იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.
ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.
**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.
„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა
0—7

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9.
0—6

**გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე**

## მუშაობის სწავლებას

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გ. ათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. ბორჯ ო მ ი

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

ღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ომის დღიური

## მიმოხილვა

მთელი რუსეთის პრესა ორ ბანაკად გაჰყო ერთმა კითხვამ: საიდან მოდის გერმანელთა მთავარი დაკვრა, ოსტროლენკასა და ნოვო-გეორგიევსკის შუა, ე. ი. მდინარე ნარევის მხრიდან, თუ სამხრეთიდან, ხოლმ-ლიუბლინის მიმართულებით. უმცირესი ნაწილი ჰფიქრობს, რომ ნარევის მიმართულებას მეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქედან უფრო მარჯვეა და ახლო გერმანელთა მთავარი მიზანი—ვარშავა და მისკენ მომავალი მთავარი რკინის გზებით. უმრავლესობა ამტკიცებს, მთავარი საქმის დასრულება ისევ ფელდმარშალ მაკენზენს აქვს დაკისრებული, რადგან—ჯერ ერთი, მოკლე ხანში ამ ფრონტიდან ჩრდილოეთით დიდი ჯარის გადაყვანა ძალიან ძნელი საქმეაო; მეორე—მაკენზენის ათიოდე დღით შეჩერება აიხსნება იმით, რომ ახალ ოპერაციის დაწყებამდე საჭირო იყო დანაკლისის შევსება, ჯარის გადაჯგუფება, სურსათ-სანოვაგისა და სამხედრო მასალის მოზიდვა, აუარებელ საწყობთა უფრო ახლო გადმოტანა ბრძოლის ველთან, ერთი სიტყვით—საჭირო იყო საერთო შესვენება. არსებობს მესამე მოსაზრებაც: მთავარი დაკვრა იქიდან წამოვა, საიდანაც უფრო მოსახერხებელი იქნება, სადაც მოპირდაპირე ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევს და საცა წინ მომავალი უფრო ადვილად გაიკვლევს გზას. სამხედრო ისტორიაში ხშირად მომხდარა, რომ მებრძოლს ბრძოლის ველზე დემონსტრაცია მთავარ დაკვრად გადაუქცევია, ხოლო მთავარი ჯარის მოქმედება გადაქცეულა დემონსტრაციად. დღევანდელ უმაგალითო ბრძოლაშიაც ჯერ ვერავინ იტყვის გადაჭრით, ბრძოლის რომელ კუთხეს აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა: ნარევისას თუ ლიუბლინ-ხოლმისას. ორივე მნიშვნელოვანია, ორივეს უკიდურესი დაცვა უნდა და ყველგან დიდი ფხიზლობა და თვალ-ყურის დევნა საჭიროა.

მთავარსარდლის დღევანდელ ცნობით ბალტიკაში გერმანელები 6 ივლისს კვლავ წინ მოიწევდნენ გრიუნგოფ-ჟაგორი-კრუპის მიმართულებით. გრიუნგოფი მდებარეობს ტუკუმის სამხრეთით და მიტავის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსის მანძილზე. ეს რაიონი უკიდურესი მარცხენა წვერია გერმანელებისა, რომელნიც ლამობენ მდინარე დვინის ნაპირებზე გამოსვლას.

მდინარე ნარევის მარჯვენა ნაპირზე 6 ივლისს დაიწყო წინამავალთა ბრძოლა, რომელიც, თქმა არ უნდა, ისეთი მწვავე და სასტიკი იქნება, რომ იგი არც ერთს დღევანდლამდე მომხდარ ბრძოლას არ დაუვარდება თავის მნიშვნელობით და შედეგით.

დღევანდელ დეპეშაში ნათქვამია, რომ გერმანელთა წინამავალნი მიადგნენ ნოვოგეორგიევსკის ციხეს: ეს ციხე მდებარეობს ვარშავის ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსის მანძილზე, მდინარე ბუგისა და ვისლის შესართავთან.

არც დღეს არის მოხსენებული ვისლის მარცხენა ნაპირი, მაგრამ დღეს თუ ხვალ უნდა გავიგოთ ხასიათი და შედეგი რუსის ჯარის გადაჯგუფებისა, რომლის შესახებ გუშინწინ მთავარსარდლის შტაბმა მოგვაწოდა ცნობა.

ლიუბლინ-ხოლმის პირზე 5 ივლისს რუსის ჯარმა უკან დაიწია და ახალ პოზიციებზე გამაგრდა; 6 ივლისს მაკენზენის ჯარი ფრთხილად უახლოვდებოდა რუსის ჯარს. ბრძოლა ამ რაიონში ამ ჟამად ზედ რკინის გზაზე უნდა მოხდეს. გენერალ ბემ-ერმოლის ჯარი სოკალის მიდამოებში ბუგს გადასულა და მის მარჯვენა ნაპირს მოსდებია.

მ. ბ.—ლი.

## დეპეშები

**თბილისი**, 7 ივლისი. **კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირად 5 ივლისის განმავლობაში სროლა იყო. რუსების ნაღმოსნებმა სამოცდა რვა ფქვილით დატვირთული იალქნიანი გემები ჩასძირეს. რუსის მოტორიანმა ნავმა ჩასძირა დიდ-ძალი სიმინდით დატვირთული იალქნიანი გემი. ოლთისის მიმართულებით სროლაა. მუშის მიმართულებით ბრძოლას განაგრძობენ, რუსებმა სოფელი ნაზიკი დაიჭირეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

**პეტროგრადი**, 7 ივლისი. **ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. გერმანელები წინსვლას განაგრძობდნენ მთელი ექვსი ივლისის განმავლობაში რიგისა და შაველის რაიონში, გრიუნგოფ—ჟაგორ—კრუპის ფრონტზე. ნემანის გაღმა მხარეში გერმანელებმა ნაწილობრივი იერიში მოიტანეს ერთ-ერთ რუსის პოლკის თხრილზე, რომელიც გამართულია სოფელ „გლუბოკი როვთან“, ქალაქ სუვალკის ჩრდილო-აღმოსავლეთით და რომლის დასაფლობად პირველ ივლისიდან განუწყვეტელი შებრძოლება ხდება. ხუთს ივლისს ღამით გერმანელებმა დიდძალ ბატარეის მოშველებით ხელთ იგდეს რამდენიმე როტის თხრილები, რომლებიც რუსებმა წინა დღით წაართვეს. მდინარე ნარევის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. ექვს ივლისს მოწინავე წყობებს შეტაკება მოუვიდათ. სიმაგრე ნოვო-გეორგიევსკის მძიმე ბატარეა ნაყოფიერად ესროდა გერმანელთა ჯარის მოწინავე ნაწილებს. ექვს ივლისს გერმანელები ფრთხილად უახლოვდებოდნენ იმ ახალ ფრონტს, რომელიც რუსებმა გამართეს ვისლასა და ბუგს შორის. ბუგზე, კრილოვისა და სოკალის რაიონში გერმანელებმა იერიში განაგრძეს, თანაც სოკალის რაიონში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები ცოტა ფართედ გაიშალნენ. დნესტრზე მედგარი ბრძოლა იყო 6 ივლისს წინანდელ ფრონტზე, სადაც რუსებმა ხელთ იგდეს ხუთასი ტყვე და ხუთი ტყვიისმტყორცნელი.**

**პეტროგრადი**, 7 ივლისი. **ოფიციალი. გენერალური შტაბის მთავარ გამგეობისაგან. ავსტრიელთა მეექვსე კორპუსის ტყვეები, რომლებიც რუსებმა დაიჭირეს ივლისის პირველ რიცხვებში ხოლმის მიმართულებით გამართულ ბრძოლაში, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ გერმანელებმა ხუთი ათასი რუსი ტყვე დახვრიტეს რავა-რუსკაიაში და რომ ნაკლის შესავსებად მოყვანილმა ჯარისკაცებმა საკუთარის თვალით ნახეს საფლავი, საცა ჩაუყრიათ ტყვიით დახვრეტილი ჯარისკაცებიო.**

**სტოკჰოლმი**, 4 ივლ. მინისტრ-პრეზიდენტმა ხამმარშელდმა გარეშე საქმეთა მინისტრის თანადასწრებით მიიღო დეპუტაცია, რომელსაც ვარსეხში მომხდარ საერთო შვეციის მშვიდობიან კონგრესის რეზოლიუცია გადასცა. ეს რეზოლიუცია დაეგზავნა ყველა სახელმწიფოთა მთავრობებს და პარლამენტებს, როგორც ნეიტრალი სახელმწიფოთა აზრის გამომხატველი, რომელიც ჩრდილოეთ სახელმწიფოთა მთავრობებს და პარლამენტებს სთხოვს, რათა მათ იშაუმდგომლონ ზავის ჩამოსაგდებად. მინისტ-პრეზიდენტმა განაცხადა: „მშვიდობიანობის მეგობრები შვეციაში გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ ნეიტრალიტეტის დარღვევა არას გზით არ უნდა მოხდეს. ამ აზრის გაგება არ შეგვიძლიან არც მე და არც ჩემ კოლეგებს. ჩვენ ძალიან გვინდა მშვიდობიანობის დაცვა, ჩვენ მოვალეობად ვსთვლით ყოველგვარ საშუალებით ვიმუშაოთ ამ მიმართულებით, მაგრამ ჩვენ ანგარიშს უწევთ ზოგიერთ მოვლენებს, და თუ ასეთ შემთხვევაში მოვლენა მოხდა, მაშინ მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, შვეციას არ შეუძლიან ნეიტრალობის დაცვა. დღესდღეობით არ შეგვიძლიან განვმარტოთ ეს შემთხვევითი მოვლენები; დღეს შეიძლება მხოლოდ ერთი ითქვას: გარდა უკიდურეს შემთხვევისა, ე. ი. იმ შემთხვევის, როდესაც მტერი სამშობლოში შემოიჭრება, არსებობს კიდევ სხვა შემთხვევები, რომელსაც თანაბარი მნიშვნელობა ექნება შვეციის ნეიტრალობის დასარღვევად. ვიმედოვნებ, რომ ამ გვარი ნეიტრალობის პოლიტიკა თანაგრძნობას იპოვებს შვეციის ხალხისა და მშვიდობიანობის მომხრეთა, გარდა უმნიშვნელო უმცირესობისა, იზიარებენ ამ აზრს. არა მგერა მშვიდობიანობის მომხრეთა უმრავლესობამ შვეციას მშვიდობიანობის დაცვა ურჩიოს მაშინაც, როდესაც სამშობლოს მთელის თავისუფლების და უფლების დაკარგვა. ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ომის საშიშროებაზე. დიახაც, ეს საშიშია თუ შვეციას სურს ომი. მაგრამ ასევე საშიშია ის აზრი, თითქოს შვეციას უსათუოდ სურდეს მშვიდობიანობის დაცვა და ამით შეძლება მისცეს ყველას, ვისაც როგორც სურს, ისე მოექცეს მას“. მინისტრ-პრეზიდენტისთვის გასაგებია მშვიდობიანობის მეგობართა სურვილი, რომლებიც ცდილობენ შვეცია გარიონ საერთო მშვიდობიანობის ჩამოგდებაში, მაგრამ მინისტრ-პრეზიდენტის მდგომარეობა არც ისე მარტივია,—დაუმატა მან. საერთაშორისო დამოკიდებულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ანდაზას: ვინც არამკითხე ერევა საქმეში, მადლობას ვერ მიიღებსო.

**რომი**, 6 ივლ. ოფიციალად იტყობინებიან: იტალიელების ჯავშნოსანი გე-

მი „გარიბალდი“ ავსტრიის წყალქვეშმ ნაღმით ააფეთქა და ზღვაში ჩაღუპა.

იტალიის მთავარ შტაბის ცნობა 6 ივლისიდან: იმ დროს როდესაც კადეროსთან ფალცაგეროს რაიონში ანსეეს ველზე ხელსაყრელი ბრძოლა ვითარდებოდა, ჩვენმა რაზმებმა მაზურინიდან ფლიუდერბახისკენ დაშვებულ ხაზებზე იერიში მიიტანა, უკან დაახევინა მარონიას ხიდთან გამაგრებულ მოწინაამდეგის ჯარს და ხიშტებით სამი მცირე სიმაგრე აიღეს. პლოცოდან ჩრდილოეთ მხარეზე კარნიაში მდებარე ჰერმანის ფორტს სროლა დავუწყეთ და თვალსაჩინო ზიანი მივაყენეთ. იზონცოს საზღვარზე ჩვენმა იერიშმა გამარჯვებით ჩაიარა. გადამწყვეტ და სისხლის მფრქვეველ შეტაკების შემდეგ ბრწყინვალე შეთანხმებით მოქმედებდნენ ჩვენი ქვეითა და ცხენოსანი ჯარი, კარსოს სიმაღლეზე ხელთ ვიგდეთ მცირე სიფართოვის ადგილი. რამდენადმე ძლიერად გამაგრებული მავთულის ღობეები ავიღეთ და 30 ოფიცერი და 2000 ჯარისკაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი 1500 თოფი და მრავალი საომარი სურსათი. დღეს დილით იზონცოსთან მთელს ფრონტზე ბრძოლა და იერიში მეტის ენერგიით განახლდა.

**სოფია**, 7 ივლ. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ვენის და ბერლინის მწერლობა რამდენიმე დღის განმავლობაში ბულგარეთის საქმეების გამო მეტად ფანტასტიურს ამბებს ავრცელებს, ვითომც ბულგარეთის მეფე საბერძნეთის მეფის სანახავად ათინაში წასულიყოს, ვითომც გენადიევი დაეპატიმრებინოთ და კიდეც თავიც მოეკლას. ათინაში გამგზავრება მეფე ფერდინანდს აზრადაც არ მოსვლია, ხოლო რაც შეეხება გენადიევს, არც დაუპატიმრებიათ და არც თავი მოუკლავს. თვალყურს პოლიციაც კი არ ადევნებს.

**ათინა**, 6 ივლ. გამოცხადდა მეფის დეკრეტი პარლამენტის მოსაწვევად 26 ივლისისთვის.

**პარიზი**. 6 ივლ. როდოსლავოვმა განუცხადა სოფიელ გაზეთ „ტანის“ კორესპონდენტს, რომ ამ ჟამად მხოლოდ ორგვარი მოლაპარაკება სწარმოებს: ერთი ოთხმოკავშირე სახელმწიფოსთან იმის გამო, თუ რას მიიღებს ბულგარეთი, უკეთუ მიემხრო და ომში ჩაერიაო და მეორეც ფრაკიის რკინის გზის თაობაზე აქვს მოლაპარაკება, ოსმალეთთან. ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირის აღდგენის თაობაზე არავითარი მოლაპარაკება არ სწარმოებსო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ვილჰელმი თვის გენერლებთან

იმპერატორი ვილჰელმი ამ დღეებში პოზნანს სწვევია და ხანგრძლივი თათბირი ჰქონია გენერალ ჰინდენბურგთან და გენ. ფოლკენჰეინთან.

### მთავრობა ვაჭართა თავგასულობის წინააღმდეგ.

გერმანიის ქალაქ მიუნხენის კომენდანტმა რაც რამ გასაყიდი ნავთი იყო ქალაქში, ძალით ჩამოართვა პატრონებს, რადგანაც ამათ უარი სთქვეს დაწესებულ ფასებში ნავთი გაეყიდნათ. მთავრობამ განსაკუთრებული კომისია დანიშნა ამ ნავთის გასაყიდად შესაფერ ფასებში.

### ეკონომია უბრალო რამეშიაც.

ბერლინს და მთელ ბრანდენბურგის პროვინციაში ღამ-ღამობით, ეკონომიის გულისთვის, არც ავტომობილებს აანათებენ და არც სხვა ეკიპაჟებს.

### ჰინდენბურგი საფრანგეთის ფრონტზე.

პარიზიდან იტყობინებიან, ჰინდენბურგი მალე ვოგეზებში გაჩნდება და პირადად უსარდლებს ელზასში მომქმედ გერმანიის ჯარსაო.

### ნუგეში ბელგიას.

ბელგიის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე მინისტრი ჰოოვესი შემდეგ საინტერესო ცნობებს იძლევა:

სულ ბელგიაში ექვსას ათას ტონაზე მეტი საკვები მასალა შემოიტანეს. ყოველ თვიურად შვიდი მილიონი მანეთი სადილის ფასად ურიგდებოდა გაჭირვებულ ბელგიელებს. ოცდა ოთხი ათასი ბელგიელი ბავშვი ამ კომიტეტმა თავშესაფარში მოათავსა, საცა დაჰყოფენ ომის გათავებამდე. ბელგიაში მომწყვდეული ოცი ათასი უცხოელი დახმარებასა და სასმელ-საჭმელს ღებულობს. ერთ მილიონზე მეტი დაიხარჯა დროებითი მესრების ასაგებად მტრისგან განადგურებულ ადგილებს. ექვს მილიონ რვაას ათას მანეთის ტანისამოსი დაურიგეს გაჭირვებულებს. ოთხი მილიონი ოთხასი ათასი მანეთი ადგილობრივ დაურიგეს მცხოვრებლებს ტანისამოსის საყიდლად. საერთოდ კომიტეტმა ფულად ოცდაათი მილიონი მანეთი დახარჯა.

### დიასახლისთა კრება.

ვენაში მოხდა „დიასახლისთა საიმპერიო კავშირის“ კრება, სადაც გამოირკვა, რომ მუშა ხელის ნაკლებობა თანდათან მატულობს. კრებამ დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას შემოიღოს სოფლის მეურნეობის განსაზღვრულ დარგებში სავალდებულო სამუშაო ბეგარა როგორც კაცებისთვის, ისე ქალებისთვის.

### რუსის გემის ჩაძირვა.

რუსის დროშის ქვეშ გემი „Marion Lighbody“ ვალპარაიზიდან გამოსულა. მოშორებით გამოჩენილა გერმანიის წყალქვეშა გემი, რომელსაც გაფრთხილების ნიშანი სროლით მიუცია. გემი გაჩერებულა. წყალქვეშა ნავიდან უნიშნებიათ გემი დაეცალათ ათი წუთის განმავლობაში. მყისვე ორი ნავი ჩამოუშვიათ, სადაც ჩამსხდარა მთელი ეკიპაჟი. რა წამს ეკიპაჟი გემს დაშორდა, გერმანელების გემს ნაღმი ესროლეს. ნაღმის აფეთქების უმალ გემი უფსკრულში ჩაეშვა. მთელი ღამის ხეტიალის შემდეგ ეკიპაჟი კინგსტუნს მიადგა. იგი შესდგებოდა ცხრამეტი რუსისა, ორი შვედელისა, ორი ნორვეგიელისა და ერთი ამერიკელისაგან.

### პოლონელთა დამხმარე კომიტეტი.

ჰენრიხ სენკევიჩის თავმჯდომარეობით შვეიცარიაში დაარსდა პოლონელთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც უკვე ორი მილიონი შეაგროვა.

### გერმანელების ახალი რკინის გზა

გერმანელებს დიდის სისწრაფით გაჰყავთ კელნიდან კჟლესკენ ახალი რკინის გზა, რომელიც ბელგიას გადასჭრის.

### ტუსაღების განთავისუფლება

კელცის სატუსაღოდან გერმანელებს გაუთავისუფლებიათ ყველა ტუსაღი იმ პირობით, რომ ისინი შევარდენთა ლეგიონებში ჩაეწერონ. გლეხთა შორის ლეგიონერების შეგროვება მიუნდვიათ ერთ საკატორღო ტუსაღისთვის.

---

სასულიერო წრეებში აღიძრა საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევისა.

---

უკანასკნელ კვირის განმავლობაში გერმანელებმა ლიუბლინში 40 ყუმბარა ჩამოაგდეს, ყუმბარამ იმსხვერპლა ოთხი კაცი, ხოლო შვიდი დაიჭრა.

### რუმინია და გერმანიის პრესა.

რუმინიის პოზიცია დიდი ყურადღების საგანია. გერმანიის პრესა ამ ბოლო ხანებში თითქმის ყოველდღე ეხება ამ საკითხს და სხვა და სხვა მხრივ აშუქებს მას.

„Kölnische Zeitung“-ი სწერს: რუმინია მოითხოვს სერბიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს, სადაც უმთავრესად რუმინელთა ტომისანი მოსახლეობენ. ასეთი მოთხოვნა გამოიწვევს ბულგარეთის მხრივ უკმაყოფილებას, რადგანაც თუ რუმინია ამ ადგილებში დამკვიდრდა, იგი მდ. დუნაის ორსავე ნაპირზე გაბატონდება და ყოველ წუთს შესძლებს ბულგარეთსა და უნგრეთს შორის მიმოსვლა მოსპოს.

„Deutsche Tageszeitung“-ი ეხება რუმინიის ამ გულისთქმას და ამბობს, იგი ერთნაირად ეწინააღმდეგება გერმანელთა ცენტრალ იმპერიების ინტერესს და ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა ინტერესსაც.

გერმანელ სოციალდემოკრატების ცენტრალი ორგანო „Vorwarts“-ი მოუწოდებს გერმანიის ხალხს გულდამშვიდებით მოეკიდოს რუმინიის საკითხს. გაზეთი განსაკუთრებულის ხაზ-გასმით აღნიშნავს იმ გაუთვალისწინებელ როლს, რომელსაც ითამაშებს დარდანელი, რომლის მომავალ ბედზე არის დამოკიდებული, ექნება თუ არა რუსეთს სამხედრო სურსათიო. გაზეთის აზრით, ცენტრალი იმპერიების პოლიტიკის კვანძი სტამბოლში გადვიდაო. მისი აზრით, ომის ასეთი თუ ისეთი დაბოლოება დამოკიდებულია სტამბოლის ბედზე. რუმინიას კარგად ესმის სტამბოლის დიდი მნიშვნელობა და ამიტომაც ცდილობს იქიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღონ.

### ბულგარეთი და ოთხთა შეთანხმება.

ბულგარეთის ოფიციოზი „ნაროდნი პრავა“ ყოველგვარ ბოროტების მიზეზად იმ მოვლენას სთვლის, რომ ოთხთა შეთანხმება არაფერს სთმობს და მით ცდილობს ახალი სისხლის ღვრა გამოიწვიოს ბალკანეთის ხალხთა შორის. ოფიციოზი იმუქრება, რომ ბულგარეთს საკმარისი პური აქვს და უცდის იმ მომენტს, როდესაც მას შეეძლება გაბედულ გამოსვლით ბულგარეთის ტომთა შეერთება.

### რა საშვალებით ემზადებოდა გერმანია ომისათვის.

„Daily Graphic“-ში მოყვანილია შინაარსი გამილ გრანდის წიგნისა: „ჯაშუშები და საიდუმლო დაზვერვა“. ავტორის სიტყვით, 1867 წელს რაიხსტაგს 520.000 მანეთი გადაუდვია სამხედრო ჯაშუშობისათვის. 1910 წელს ამავე მიზნისთვის იყო გადადებული 8.000.000 მანეთი და 1914 წელს კი 10.000.000 მანეთი. 1893 წელს კანცლერმა კაპრივიმ 400000 მანეთი გადასდო სასარგებლო ბროშიურების გამოსაცემად, რომელიც გერმანიის პოლიტიკის გასაძლიერებლად და საიდუმლო დაზვერვის გასაფართოებლად იყო მიმართული. ამ ბროშურების მიზანს შეადგენდა გაფიცვების და კლასთა დამოკიდებულების გამწვავება იმ ქვეყნებში, რომელთა შესუსტება საჭირო იყო გერმანიისათვის. 1911 წელს აგადირის ინციდენტი დაკავშირებული იყო ინგლისში მომხდარ გაფიცვებთან. 1893 წელს მომხდარ ამიენის გაფიცვებისთვის ადგილობრივ შეაგროვეს გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ 480 მანეთი, მაშინ როდესაც გერმანიის ქალაქ ფრანკფურტიდან მუშებს გამოუგზავნეს 10000 მანეთი. რასაკვირველია, საფრანგეთის მუშებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ თუ საიდან მოდიოდა ეს ფულები. ერთის სიტყვით, თუ ვინმეს სურს გაიგოს „გერმანიის მრეწველობის“ და მისი „პოლიტიკის“ განვითარების მიზეზები, მან თვითონ უნდა წაიკითხოს ეს წიგნი.

## გალიპოლის კუნძულზე

ინგლისელი სამხედრო კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისელი ჯარის მარცხენა ფრთის შეტევა ოსმალთა ბანაკში დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. უკანასკნელ დღეების განმავლობაში ოსმალები არაჩვეულებრივ თავგანწირვით იბრძვიან, რომ დაიბრუნონ დაკარგული ადგილები. მცირე აზიიდან მოსული ახალი ჯარები იშვიათის მამაცობით მოდიან ინგლისელების წინააღმდეგ და კონტრ-იერიში კონტრ-იერიშზე მოაქვთ, რომ როგორმე გააუმჯობესონ ოსმალთა ჯარის მარჯვენა ფრთის მდგომარეობა, რომელიც ხიფათშია ჩავარდნილი. თვით ენვერ-ფაშა ხელმძღვანელობს სამხედრო მოქმედებას. ხმებია თითქოს უთანხმოება იყო ოსმალთა შტაბში. ზოგი გენერალი იმისი მომხრეა, რომ გამაგრდენ იმ პოზიციებზედ, რომლებიცხელში უჭირავთ და აწარმოვონ მხოლოდ მოგერიებითი ბრძოლა, რადგანაც ინგლისელთა კარგად მოწყობილ და მძიმე არტილერიით აღჭურვილ სანგრებზე იერიშით მისვლა ყოვლად სახიფათო და უნაყოფო იქნებაო. მაგრამ ენვერ-ფაშა მაინც შეტევისა და ფიცხელი იერიშის მომხრეა, მას მაინც და მაინც სურს მოკავშირენი ზღვაში გადაყაროს. ძნელია დაწვრილებითი ცნობების შეტყობა მიმდინარე ოპერაციის შესახებ. იერიშები ყოვლად შეუბრალებელია. იერიშს მზის ჩასვლისას იწყებენ და მთელი ღამე გრძელდება. ოსმალთა არტილერიამ, ამ უკანასკნელ დღეების სიჩუმის შემდეგ, მოქმედება განაცხოველა. სჩანს ტყვია-ყუმბარა ნაკლებად აქვს, რადგანაც ზარბაზნებს დიდის ინტერვალით ისვრიან. ყველა მოკავშირე აღნიშნავს, რომ ოსმალები არაჩვეულებრივ სიმამაცეს იჩენენ და სიკვდილსაც აღტაცებით ეგებებიან. ოსმალები არ არიან გაწაფული, თუ როგორ უნდა აწარმოონ იერიში და შემოტევა ბრძოლის ღღევანდელი ტეხნიკის პირობებში. ისინი დიდ გუნდებად თავს ესხმიან მოკავშირეთა სანგრებს და ასობით იხოცებიან. სანგრებამდე მხოლოდ რამოდენიმე გმირი მამაცი აღწევს და შიდ სანგარში ჩახტომას ლამობენ. ოსმალთა გვამი ათასობით ყრია მოკავშირეთა პოზიციების წინ. მიუხედავად ამისა, ღამე დადგება თუ არა, ოსმალები იერიშს ანახლებენ უფრო გამძვინვარებულის სიმკაცრით.

## ახალი ამბავი

✦ **ლიტანია და პარაკლისი.** გუშინ, 8 ივლისს, საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ ყოვლად სამღვდელომ პიტირიმმა, წირვა გადაიხადა მისიონერთა მეორე ეკლესიაში; გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდმა სწირა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში, ხოლო ეპისკოპოზი გორისა ანტონი იყო მწირველი ფერისცვალების მონასტერში. წირვის გათავების შემდეგ სამღვდელოება ჯვრებითა და ხატებით სიონისა და მისიონერთა ტაძრებიდან სავედრებელი ლიტანიით გაემართა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში; იქვე მიბრძანდა მაღალ ყოვლად სამღვდელო პიტირიმი, რომელმაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა და დიდძალი სამღვდელოების თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადა, რათა ღმერთმან გამარჯვება მიანიჭოს რუსის მხედრობას. ფერისცვალების მონასტრიდან წირვის შემდეგ სავედრებელი ლიტანია ჯვრებითა და ძლევამოსილი ხატებით გაემართა კახეთის მოედანზე, საცა ეპისკოპოზმა ანტონიმ სამღვდელოების თანადასწრებით გადაიხადა პარაკლისი. პარაკლისს ორთავე ადგილას დიდძალი ხალხი დაესწრო. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში პარაკლისს დაესწრნენ სხვათა შორის, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენ.-ლეიტ. ვოლსკი, თბილისის კომენდანტი ჩირკოვი და სხ.

✦ **ყოვლად სამღვდელო დავითი.** როგორც გვატყობინებენ, ეპისკოპოზი დავითი (ერობაში კაჭახიძე), ალავერდის ეპისკოპოზად ნამყოფი, ხოლო ეხლა ეპისკოპოზი ვინნიცისა, ინიშნება საქართველოს ეგზარხოსის პირველ ვიკარად და ერევნის ეპარქიის ეპისკოპოსად.

✦ **ახალი წიგნი აჭარლებზე.** აპოლონ წულაძემ შეადგინა ახალი წიგნი აჭარისა და აჭარლების წარსულ და აწმყოს შესახებ. ავტორმა წინადადება მისცა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ამ წიგნის გამოცემა იკისროს, თუ იმას სასარგებლოდ იცნობს განსაკუთრებული კომისია. წიგნის წმინდა შემოსავალი მოხმარდება აჭარლების საჭიროებას.

✦ **კრება.** 12 ივლისს თეატრ „ახალშენში“ საზოგადო კრება ექნებათ საბურთალოს დრამატიულ წრის წევრთ. კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი სისტემატიურ წარმოდგენების გამართვის შესახებ საბურთალოზე და სხ.

✦ **წ. კ. საზოგადოების გამგეობის კრება.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ 7 ივლისს დაადგინა: 1) ერთი წლით ისევ ეძლიოსთ სტიპენდია სტუდენტებს ნინო ციციშვილს და ალექსანდრე ციციშვილს; 2) გამგეობის წევრნი დაესწრნენ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებას 9 ივლისს, რომელზედაც განხილულ იქნება ი. ალიბეგოვის მოხსენება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ; 3) კავკასიელ ქალთა საზოგადოების ქართულ სექციას უსასყიდლოდ დაეთმოს 12 მანეთის წიგნი ღარიბ ჯარისკაცთა მცირე წლოვან შვილთათვის წერა-კითხვის უსასყიდლო კურსებზე სახელმძღვანელოდ.— კრებაზე აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი საზოგადოების წიგნის მაღაზიის გადატანის შესახებ ქვაშვეთის ეკლესიის შენობაში, საცა ხიდდეკელის წიგნის მაღაზია იყო მოთავსებული. მაღაზიის შენობა სივიწროვის გამო შესაფერისად არ იქნა ცნობილი.

✦ **კახეთის რკინის გზის** ლიანდაგი ჩალაუბანში უკვე გაასუფთავეს ზვავებისაგან და გუშინ წესიერი მიმოსვლა აღდგენილ იქნა მთელს გზაზე.

✦ **არტისტის დასაფლავება.** ახლად გარდაცვალებული არტისტი ა. ალექსიძე (ქურდოვანიძე) 7 ივლისს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წირვის შემდეგ მიწას მიაბარეს კუკიის სასაფლაოზე.

✦ **ყაჩაღებთან შეტაკება.** 5 ივლისს სოფელ იანეთში (ქუთაისის მაზრა) ყაჩაღთა ბრბოს თავს დაესხა საეროზო დარაჯთა უფროსი ოფიცერი ბ-ნი ჩხეიძე რამდენიმე დარაჯთა თანხლებით. ასტყდა სროლა, რომლის დროს ერთი დარაჯი მოკლულ იქნა, ხოლო ყაჩაღების მხრივ ერთი მოკვდა (როგორც ამბობენ, შემთხვევით მყოფი ყაჩაღებთან). დანარჩენები გაიქცნენ.

✦ **კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, კრება უნდა შესდგეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა, რომელიც განიხილავს ი. გ. ალიბეგოვის მოხსენებას კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. კრებაზე მიწვეული არიან კერძო პირები და დაწესებულებათა წარმომადგენლნი.

✦ **ქართული წარმოდგენა სოფლად.** 5 ივლისს სოფ. მეჯვრისხევში, ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით, წარმოდგენილ იქნა ვ. გუნიას პიესა „და-ძმა“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

✦ **ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა** აცნობა [illegible], რომ საჭიროდ არა ვცნობ [illegible] მიერ დადგენილების დამტკიცებას შესახებ ნიჩრის მომატებისა გამომცხვარ პურზედო. აღძრულ საკითხის განხილვა კანონის ძალით გადაეცემა გუბერნიის საქალაქო საქმეთა განყოფილებას.

✦ **ნოქრების კლუბში** მამასახლისთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამის გამო ამ დღეებში კლუბის წევრები უნდა იქმნენ მოწვეული საგანგებო კრებაზე.

✦ რედაქციამ მიიღო ს. რ. გორგაძის ახალი წიგნი „ქართული სადა სიტყვაობა“. წიგნი მშვენივრად არის გამოცემული და ღირს 40 კ.

## ...და ჩვენცა ვერწამდეს!

ტურფა და ლამაზი ხარ, მშვენიერო, საყვარელო სამშობლოვ! და სადაც უნდა მოხვდეს შენი შვილი, რა განცხრომა-ფუფუნებაშიაც უნდა იყვეს იგი, დარწმუნებული ვარ, იმის სული მაინც შენკენ იხარის; შენი „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ სულის და გულის ტკივილს დაუამებს შენს უიმედობით დაავადებულს შვილს და რაც უნდა სკეპტიკი იყოს იგი, მაინც აგრძნობინებს, რომ ასეთი დიადი ბუნების შვილი არ მოისპობა ამ ქვეყნად, ვინაიდგან მისი არსებობის ფესვები ღრმადაა წასული მშობლიურ,-წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგში: „გადაჭრილი მუხა“ კვლავ ბარტყობს, და ეს ბარტყები ისეთივე მძლავრნი და სრულბუნებოვანნი შეიქმნებიან, როგორიც მათი მშობელი, ღრმა-ფესვა, მხარ-ბეჭა, შეუდრეკელი მუხაა.

მშვენიერი და ტურფა ხარ, სამშობლოვ, მაგრამ გაფასებთ კია? ვგრძნობთ კია? გვესმის შენი სიმშვენიერე? სხვისი რა გითხრა, მკითხველო, და მე კი ძლიერად ვგრძნობ ამ სიმშვენიერეს წრეულს ქვიშხეთში!

საუცხოვოა ქვიშხეთის ბუნება. დადექით, რა ადგილსაც გნებავთ, და მიმოიხედეთ ირგვლივ. თვალწინ საუცხოვო სურათი გადგეშლებათ. ცივი, ანკარა, წმინდა, ვით ბავშვის ცრემლი, წყაროები, ასწლოვანი კაკლის ხეები, „თავდადებულის“ სასახლე, მაღალი მთები, ტყეები, გველივით მიმხლაკნავი მოლაპლაპე და თანაც ტკბილად მოდუდუნე მტკვარი და მის კიდეებზე გადაშლილი უშველებელი ქვიშხეთ-ხაშურის ჭალა-მინდვრები, სადაც ყოველი მტკაველი მიწა ზურმუხტის ფერად არის აბიბინებული პურ-სიმინდ-ქერ-სათიბებით, რომელშიაც მწყერი ნაზად ჰუკჰუკებს, მშიშარა კურდღელი კამარასა ჰკრავს და ტოროლა ზემოდან ციურ გალობას უძღვნის სამყაროს... ხედავ ამ ტრიალ, გაშლილ მინდორს და დღევანდელ აუტანელ მდგომარეობით შეკუმშული, გავერანებული სული და გული გეშლება, დაჩლუნგებული ოცნება კვლავ ფრთას ისხამს, თვალნი და აზრნი უნებლიედ შორს რბიან... იქ, სადაც არაა შებრალება,არაა დანდობა; იქ, სადაც ადამიანს ადამიანური სახე დაჰკარგვია, მხეცს დამსგავსებია;იქ,სადაც ადამიანთა გვამთა ხროვა ცათამდის აყუდებული დედის ხელით მოუვლელი, უპატრონო, ყვავ-ყორნის მიერ გულმკერდ ამოჭმული. მესმის „ნათელი სიცილი“ და, ოცნება გატაცებულს, გინდა არა ადამიანის ხმით შესძახოთ: „რას სჩადიხართ? შეჩერდით!“ და, ოცნებიდან გამორკვეული, კვლავ უბრუნდები ისევ ქვიშხეთს, მის ტურფა, მშვენიერ ბუნებას...

მშვენიერია ქვიშხეთის მიდამო ღამითაც. ღამის ბინდი ნელ-ნელა ეპარება მიდამოს. ტყეებით დაბურული მთები ფერს იცვლიან და რაღაც ზღაპრულ საარაკოებებს ემსგავსებიან. სამარებისებური სიჩუმე იპყრობს გარემოს. და ამ სიჩუმეში მკაფიოდ მოისმის მტკვრის ხმაური, ხან ჩუმი, მოსიყვარულე, მოალერსე, ხან მძაფრი, აღშფოთებული. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი; მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“, გაგონდება უკვდავი ბარათაშვილის სიტყვები. მაგრამ, ჩაუკვირდეთ, მართლა უტყვია მტკვარი? მართლა არ გვესმის, „რას ბუტუტებს, ვისთვის რას რას იტყვის?“ არა, მტკვარო, მესმის შენი ბუტბუტი, მესმის შენი საყვედურის ხმა, კილო! შენი ზვირთების ნელ დუდუნში მე ვგრძნობ საყვედურს, თუ რა ვუყავით, ვის, სად და რად დავუთმეთ ის ჭალა-მინდორ-მთა-გორები, რომელთა ყოველი ნაბიჯიც მორწყულია ქართველის სისხლით, რომელნიც სავსე იყვნენ ქართველთა მოდგმით და სადაც დღესაც

მრავლად დარჩენილ ეკლესია მონასტრებში გაისმოდა ღვთისადმი ლაღადი ქართულ ენაზედ! მესმის საყვედური და კვნესა შენი, მტკვარო, ჩვენს დაბეჩავებაზე!

ღამის წყდიადი ნელ-ნელა ჰქრება. აღმოსავლეთით მაღლად აღმართულ მთის წვერს ფერი ეცვალა. მის მწვერვალს ნათელი დიადემა დასდგომოდა: მთვარე ნელ-ნელა ამოდიოდა... მიდამოს საიდუმლოების სურათი ჩამოსცლოდა. მთვარე უხვად აფრქვევდა ნათელ სხივებს. მტკვარი ვერცხლის ფრად ლაპლაპებდა. კაშკაშა მთვარის შუქში დაფერილი იმედის სხივი გულამდის ჩასწვდომოდა მას და დამშვიდებული კვლავ დინჯად მიილტვოდა: „გრწამდესთო!" და ჩვენცა გვრწამდეს, მკითხველო.

ვას. ჯაფარიძე.

## ორიოდე სიტყვა

**ქართული საბავშვო წიგნაკების შესახებ.**

ქართული მწერლობა მეტად ღარიბია საბავშვო წიგნაკებით. ნაკლებად მოგვეპოება ამ დარგის არა თუ ლამაზი გამოცემები, არამედ საშუალო და უფრო ნაკლები ხარისხისაც კი... ამის მეოხებით წლიდან-წლამდის ქართველი ბავშვი იძულებულია წაკითხვის წყურვილის მოსაკლავად მიმართოს რუსულ წიგნაკებს, რომელთა რიცხვი აუარებელია და გამოცემაც სამაგალითო... მიუტევებელი ცოდვაა, რომ ქართველ ბავშვს არ მოეპოება რიგიანად გამოცემული ქართული წიგნები. ბავშვებს უყვართ საზოგადოდ წიგნი... ძლიერ უხარიანთ, როდესაც საჩუქრად წიგნებს უძღვნიან დღესასწაულებზე და ან სახელწოდების. დღეს... ამ სიყვარულში ჩაქსოვილია ცოდნისმოყვარეობის გრძნობა, რომლითაც თითოეული ადამიანის ბუნება დაჯილდოებულია... ქართულ წიგნაკს შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ქართველ ბავშვს. უკანასკნელს იმის მეოხებით არა თუ მხოლოდ ცოდნა შეეძინება, არამედ განუვითარდება კაცთმოყვარეობის დიადი გრძნობა,—გაუღვივდება დედაენის სიყვარული და შეუმჩნევლად, ძალა დაუტანებლად, თავის თავად სამშობლოს სიყვარულიც. მის ბუნებაში ქართული წიგნაკის მეოხებით დაითესება თესლი ეროვნულ თვითშეგნებისა, თვისი ვინაობის ცნობისა... ამის მეოხებით ის არა თუ მხოლოდ სხეულით, ფიზიოლოგიურად, სათვალავით ქნება ქართველი, არამედ სულით და გულით, მთელი თვისი არსებით. არ შეგვიძლია აქვე მადლობით არ მოვიხსენიოთ ის კეთილშობილი ქართველი ადამიანები, რომელნიც არას ზოგავდნენ აქამომდე ქართული საბავშვო მწერლობის გასამდიდრებლად... ჯერ სანამ „ნაკადული" გამოიცემოდა, ქალბ. ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა ბეჭდავდა „ჯეჯილს",—რომელშიც დაიბეჭდა მრავალი მოთხრობა და სხვა სახის ნაწარმოები,—დიახ, რომ კარგი საკითხავი მასალა ბავშვთათვის. მანვე გამოსცა რამდენიმე საბავშვო წიგნი რამდენიმე ათასი ცალი... მას თან მოჰყვა „ნაკადული" და მისი გამოცემანი. ასეთივე გამომცემლობას ეწეოდა კიდევ რამდენიმე კერძო ქართველი და მათშორის წერა-კითხვის საზოგადოებაც... მაგრამ ქართული საბავშვო მწერლობა ვერ დადგა სასურველ ნიადაგზე, ვერ მოიპოვა თავის არსებობისათვის ფართო სარბიელი, ვერ გახდა ქართველთა ცხოვრების საარსებო მოთხოვნილებად. ეს სამწუხარო მოვლენა იმით აიხსნება, რომ ქართულს ოჯახში არაა გამეფებული ქართული ენა. ბავშვი იბადება და იზრდება ისეთ გარემოებათა გავლენის ქვეშე, რომლის წყალობით ვერ ხედავს მშობლიურ ენისა და წიგნისადმი საკმაოდ მხურვალე თანაგრძნობას... ოჯახში არ არის ქართული წიგნის და ქართული ენის მოთხოვნილება გაბატონებული... გამონაკლისს წარმოადგენს თითო-ოროლა ოჯახი... ამისთანა ოჯახი თუნდა ათასიც იყოს,—ეს ჩვენ მცირე ჯამად მიგვაჩნია ქართველი ერისთვის, რომლის რიცხვი ორ მილიონს აღემატება. ქართული ოჯახი რომ თავის ეროვნულ ინტერესების შესახებ ფხიზელი იყოს, მაშინ ჩვენში საბავშვო მწერლობის სულ სხვაგვარ თვალწარმტაც სურათს ვიხილავდით... ჩვენში თუ არ მიადექი კარზე, არ ექაქანე, არ მოაბეზრე თავი, საბავშვო ჟურნალს ისე ერთი-ორად ნაკლები მკითხველი ეყოლება. დიდ ჯაფას ეწევიან ამ მხრივ საბავშვო ჟურნალების პროვინციელი მოსაქმეები (აგენტები)... საბავშვო ჟურნალები ჩვენში—„ჯეჯილი" და „ნაკადული"—სუფთა და კარგი შინაარსიანი გამოდის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაიქადებს, რომ ჰყავს შინაარსის და ღირსებათა შესაფერი მკითხველთა საკმაო რიცხვი. უნდა ვთქვათ, რომ ამ ორივე საყმაწვილო ჟურნალმა ქართული მწერლობა გაამდიდრა საბავშვო საკითხავი მასალით. აუარებელი მასალაა მათში მოთავსებული. ძლიერ კარგი იქნება, რომ ცალკე წიგნაკებად დაიბეჭდებოდნენ ოჯახთა შორის გასავრცელებლად ის მოთხრობები, პოემები და სხვა წერილები, რომელნიც მათში არიან მოთავსებულნი... ეს გარემოება თავის მხრით საბავშვო ჟურნალების გამოწერის სურვილს აღძრავს... ქართულ საყმაწვილო ჟურნალების მკითხველთა რიცხვი ამის მეოხებით გამრავლდება. ქართული ენის შესწავლა, დარწმუნებული ვართ, მალე ცხოვრების მძლე მოთხოვნილებად გადაიქცევა. რაც დრო მიდის, მისი შესწავლის სურვილი უფრო ცხოველდება. მოვა დრო, და ქართველი ოჯახი, რომელიც ქართულ ენას გაურბის, თითით საჩვენებელი გახდება და თავს ვეღარსად გამოჰყოფს ღამურასავით. ეს დიადი საქმე საყმაწვილო წიგნების ბეჭდვისა წერა-კითხვის საზოგადოების გარდა შეუძლიან იკისროს ქართველ ქალთა საზოგადოებამაც, რომელსაც მოქმედების დიდი უნარი ეტყობა... დღეს მას, მართალია, სხვა საზრუნავი საგანი აქვს, რომელსაც ემსახურება პირნათლად და თავდადებით, მაგრამ დადგება დრო მშვიდობისა და მაშინ, მეტი რა გზაა, ზემოხსენებულ გამომცემლობას უნდა მოჰკიდოს ხელი. ქალი სიყვარულის ჰურჭელია, მასში განვითარებულია მგრძნობელობა—ამ სიტყვის საპატიო მნიშვნელობით. ქართველ ქალთა საზოგადოებას, გამსჭვალულს ქართველ ბავშვების სიყვარულით, შეუძლია შეავსოს ქართული საყმაწვილო მწერლობის საგრძნობი ნაკლი...

ი. ფერაძე.

## კავკასიაში ერობის შემოსაღებლად თათბირი

კადეტების ფრაქცია ამ ჟამად არჩევს კანონპროექტს, რომელიც კავკასიაში ერობის შემოღებას შეეხება.

ერთ-ერთ თავის წევრს, სახელდობრ სომხის დეპუტატს პაპაჯანოვს ფრაქციამ მიანდო პეტროგრადში საერთო თათბირის მოწყობა კადეტ კავკასიელ მოღვაწეებთან ერთად.

თათბირზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: ფარუხ-ბეგ ვიზიროვი, ზ. დ. ავალიშვილი, ვექილი ა. ნ. ანდრონიკაშვილი და ხ. ა. ვერმიშევი. აგრეთვე მიწვეულნი არიან სახელმწიფო სათათბიროს სოციალდემოკრატი წევრები: ნ. ს. ჩხეიძე და მ. ი. სკობელევი.

პირველ დღის თათბირზე დაადგინეს, სისტემაში იქნეს მოყვანილი ყველა მასალა, რომელიც კი კავკასიის ერობას შეეხება. დაადგინეს წინადადებით მიჰმართონ ადგილობრივ კავკასიელ მოღვაწეებს აღძრულ საკითხში მონაწილეობის მისაღებად.

თათბირზე გამოირკვა, რომ კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარიაში მუშავდება კანონ-პროექტი საერობო თვითმართველობის შემოსაღებად.

ამიტომ გადასწყვიტეს სათათბიროს წევრებმა დამოკიდებულობა იქონიონ მეფის მოადგილესთან და წინადადება მისცენ მას, რათა სახელმწიფო სათათბიროში რაც შეიძლება მალე შეიტანოს შემუშავებული კანონპროექტი, რომ ამით საშუალება მიეცეთ მახლობელ დროს გაეცნონ მის შინაარსს და შესაფერი შესწორება შეიტანონ.

თათბირმა მიიღო, რომ კავკასიის საზოგადო ძალთა გამოსაყენებლად, საერთო სახელმწიფოს საკითხთა შესრულებისთვის გარშემოსაკრეფად და გაჭირვების წინაამდეგ ბრძოლის გასაწევად აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს შემოღებული კავკასიაში საერობო თვითმართველობა.

დაადგინეს, რომ კავკასიაში საერობო თვითმართველობის კანონპროექტის შემუშავებამდე საკანონმდებლო სესიის გახსნისათანავე 1892 წლის კანონის ძალით შემოღებულ უნდა იქნას ერობა, იმ შესწორებით, რომელ შესწორებასაც ადგილობრივი ცხოვრების პირობები გამოიწვევს.

## ბეჭდვითი სიტყვა და ქართველი ახალგაზდობა

როდესაც გამოჩენილ ისტორიკოსს ბოკლს ჰკითხეს—ვინაა ინგლისში საუკეთესო პედაგოგიო—მეცნიერმა დაუყოვნებლივ მიუგო—შექსპირიო.

საგულისხმოა ასეთი პასუხი.

თუ პედაგოგს ევალება გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა მოზარდი თაობისა, ვის ძალუძს ისეთი მზიური სიძლიერით ჩასწვდეს ადამიანის გონებასა და გულს, როგორც ეს უუდიდეს ინგლისის დრამატურგს შეუძლია? თითეული სიტყვა მისი—მახვილია, რომელიც შუბლს აპობს და გონების სალაროში საუკეთესო მარგალიტებით იმარხება.

თუ ეს სიმართლეა, ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ბეჭდვითი სიტყვას ადამიანის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაში დიდი ალაგი უჭირავს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭეშმარიტ აღმზრდელთა რიცხვი, როგორც საზოგადოდ ყველგან, ისე კერძოდ ჩვენშიაც, ფრიად მცირე რიცხოვანია. მათი ჩამოთვლა თ თებზე შეიძლება და, რაც უფრო სამწუხაროა, საუკეთესონი მათ შორის წარსულს ეკუთვნიან. დიდებული იყო „უნივერსალური დიდაქტიკის" (Великая дидактика) ავტორი იან-ამოს კომენსკი, თვალწარმტაცი იყო პედაგოგ-რომანტიკოსი პესტალოცი, მშვენიერი იყო ფრიობელი, მაგრამ ამისთანა პიროვნებანი ისტორიაში ცოტანი არიან. დღევანდელი სკოლა კი უბრალო მომაკვდავებით არის სავსე. მცირე გამონაკლისის გარდა, მათ' არ შესწევთ არც სულიერი და არც ზნეობრივი ძალა იმ დიადი საქმის გასაძღოლად, რომელიც მათ ევალებათ.

„ცოდვილია" ადამიანი... რამდენადაც გინდათ მაღლა იდგეს იგი კულტურულად, მისი სული მაინც მოწამლულია პირველ-ყოფილი ეგოისტური შხამით. ეს ეგოიზმი ჰქმნის დაუსრულებელ ანტაგონიზმს, როგორც საზოგადოდ პიროვნებათა შორის, ისე მოწაფეთა და მასწავლებელთა შორისაც. ამ მოვლენას უკანასკნელ შემთხვევაში მოჰყვება ხოლმე სიძულვილი არა მარტო ცოცხალი ადამიანებისადმი, არამედ იმ სასწავლო საგნებისადმიც კი, რომელსაც დღევანდელ სკოლაში გადიან. დიდბუნებოვანი უნდა იყოს აღმზრდელი-მასწავლებელი, უაღრესად განათლებული უნდა იყოს იგი, რომ ამ მომაკვდინებელ მოვლენას ასცდეს და სკოლაში ცოდნის წყურვილი, სათნოება და სიყვარული დაამკვიდროს.

ბეჭდვითი სიტყვის გავლენა ადამიანის სულზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე სიტყვა ცოცხალი ადამიანსა.

როგორ ეპყრობა ჩვენი ახალგაზდობა ამ უუდიდეს განძს კაცობრიობის სულიერ არსებობისას?

ჩვენდა სამწუხაროდ, დაკვირვებული თვალი აშკარად შეამჩნევს, რომ ჩვენ ახალგაზდობას ბეჭდვითი სიტყვა არ უყვარს. იშვიათად შეხვდებით, თუ გინდ უნივერსიტეტ გათავებულთა შორის, ისეთ ახალგაზდას, რომელიც დაახლოვებით მაინც იცნობდეს არა თუ უცხო ერების ლიტერატურას, არამედ თავის მშობლიურ ლიტერატურასაც კი. და რადგანაც ლიტერატურა—ეს ის ღვთაებრივი სკოლაა, სადაც ადამიანი სულითა და გულით უზენაესად მაღლდება, ჩვენი ახალგაზდობა კი ამ სკოლისადმი ნაკლებ სიყვარულს განიცდის, იგი, რა თქმა უნდა, ინტელექტურად და ზნეობრივადაც ფრიად გაღატაკებულ არსებას წარმოადგენს. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის ყოვლად უმსგავსო მოვლენა, რომელიც ჩვენ სკოლებში მუშტიკრივის სახელით არის მონათლული.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ უხეშ, ფიზიკურ ძალას ჩვენში განსაკუთრებული ალაგი უჭირავს: იგი ერთგვარ კულტად გადაიქცა, რომლის წინაშე დიდი და პატარა, ქალი თუ ვაჟი—მოწიწებით თავს იხრის. განვითარდა ახალი ფორმაციის რაინდული ფსიხოლოგია: ადამიანი, სანამ ჭკუას დაეკითხებოდეს, მუშტზე იცქირება. და ეს მოსწონს ბევრს, ძალიან ბევრს!..

მაშ რით უნდა აიხსნას, თუ ამგვარი მოსაზრებით, ისეთი ანორმალური მოვლენა, რომელსაც, მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინად ჰქონდა ალაგი? ერთი ახალგაზდა, ლამაზი, საშუალო განათლების ქალი ყაჩაღს გაჰყვა და, ჩვენებურად რომ იტყვიან, უნიშნოდ დაიკარგა.

ვინ იტყვის! რა თქმა უნდა, ფიზიკურ განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო კერძო ერთეულისათვის, არამედ სოციალურადაც: აკი ძველ სპარტაში ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგრამ როდესაც ადამიანის ეს მხარე მუშტის სახეს ღებულობს, იგი უაღრესად დასაგმობია: ფიზიკური იგივე მშვენიერებას უნდა ემსახურებოდეს, როგორც ეს ძველ სპარტაში ესმოდათ.

აი კიდევ ერთი უცნაური მაგალითი ჩვენი სულიერი სიკოტრისა. ერთმა ჩემმა მეგობარმა ასეთი „პროვოკაციული" კითხვით მიჰმართა ნაცნობ სტუდენტს: ესწრები თუ არა „სუბორდინაციულ" კრებებს, რომლებიც ამა და ამ ქალაქში ხშირად იმართება ხოლმეო?

თავმომწონე სტუდენტი არც კი დაფიქრებულა და დარბაისლური კილოთი უპასუხა: ამ კრებებზე სიარულმა მომაცდინა, თორემ ყველა ეგზამენს ჩავაბარებდიო.

ასეთ კურიოზებს ხშირად შეხვდებით ჩვენ მოსწავლე ახალგაზდათა ცხოვრებაში. ერთი მერვე კლასის მოწაფე ვერა გზით ვერ დავარწმუნე, რომ „რომანტიზმი" და „რომანი" ორი სულ სხვადასხვა შინაარსის ცნებაა. ის თავ-გამოდებით მიმტკიცებდა, რომ მასწავლებელმა სწორედ ისე განმარტა ეს სიტყვები, როგორც მას ესმის.

ყველა ეს აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ ჩვენ ახალგაზდობას არ უყვარს წიგნი, არ უყვარს ბეჭდვითი სიტყვა, არ უყვარს სერიოზული მუშაობა.

ამნაირმა მდგომარეობამ წარმოშობა ჩვენში ერთგვარი ტიპი „მყვირალა ინტელიგენტთა". ცოდნა მისხლობით, გონორი—ფუთობით, ასე შეიძლება დავახასიათოთ ეს ბატონები. მათი შეხედულებით მსოფლიოში გამოურკვეველი არაფერი არ არის. მათი პრიმიტიული თვალ-საზრისი მზადაა საბოლოოდ განმარტოს ყოველგვარი საკითხი სუბიექტიურ და ობიექტიურ მოვლენათა. მათში სრულებით არ არსებობს მოწიწება და შიში ეგრედ წოდებულ „წყეულ კითხვების" წინაშე. და ესეც იმავე უკულტურობით და გონების სიბნელით შეიძლება მხოლოდ აიხსნას.

რაც შეეხება პოლიტიკურ ან სოციალურ ცხოვრებას, ამაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ამ სფეროში ჩვენი მოსწავლე ახალგაზდა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ან საიდან უნდა იცოდეს რამე, როდესაც წლის განმავლობაში ორჯერ თუ იღებს ჟურნალ-გაზეთს ხელში და ისიც შემთხვევით. იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ახალგაზდას, რომელიც სისტემატიურად ადევნებდეს თვალს ქართულ და უცხოთა პერიოდულ გამოცემებს. დიდ უმრავლესობას კი სრულებით არ აინტერესებს ეს საგანი.

გული გწყდება, როდესაც ადარებ ევროპიელ ახალგაზდას ჩვენებურს. დაუკვირდით, მაგალითად, ინგლისელს: იშვიათად შეხვდებით მას, რომ წიგნი ან ჟურნალ-გაზეთი არ ეჭიროს ხელში. ჩვენში რკინის გზის ვაგონი, რო იტყვიან, სავაჭრო მოედანს მოგაგონებსთ: ყვირილი, ლანძღვა-გინება, ჩხუბი. ევროპაში რომ რკინის გზის ვაგონში ზიხართ, სამკითხველოში გგონიათ თავი: დიდი და პატარა—ყველა თავაუღებლად კითხულობს, ყველას აინტერესებს მსოფლიოს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება,—ადამიანი [illegible] ცხოვრობს...

ვისაც „სულიერი წყურვილი" არა სწვავს, იგი პირუტყვს უახლოვდება: ვიქმნეთ ადამიანნი და არა პირუტყვნი.

ხევდიანი.

## წერილი საინგილოდან

მე მგონია საქართველოში დავიწყებულია, რომ აჭარა-მესხეთის გარდა, არსებობს კიდევ სხვა სამუსულმანო საქართველო. ეს სამუსულმანო საქართველო გახლავთ ენისელის სამოურავო ირაკლი მეფისა, ანუ ეხლანდელი საინგილო, უფრო კი ალიაბათის საბოქაულო, ზაქათალის ოლქისა, რადგანაც მუსულმან ინგილოებს უმთავრესად აქ მოუყრიათ თავი. აი ეს ძველი ენისელი წარსულ საუკუნის მეორე ნახევრამდის დანარჩენ საქართველოსთან ერთის ცხოვრებით სცხოვრობდა, მისი ჭირი და ვარამი მასაც თავის ჭირად მიაჩნდა, მისი სიხარული და ბედნიერება კიდევ საკუთარ ბედნიერებად. ენისელი დანარჩენ საქართველოსკენ იცქირებოდა იმედით და იქიდან მოელოდა ხსნასა და შველას. მაგრამ დრონი გავიდნენ, საქართველო თავის სამღვდელოებით შევიდა ენისელში და საშინელი მარცხი მოუვიდა. ნუღარ გამოუდგებით იმის მიზეზების გამოკვლევას, თუ რამ გამოიწვია ეს მარცხი, რადგანაც შეუძლებელი იყო იმ სამღვდელოებისთვის, რომელიც ეროვნულს ნიადაგს მოკლებული იყო და ნახევრად გარუსებულ-გაჩინოვნიკებული, მეტი მოგვეთხოვნა. თუ ეს არა, მაშ რითი უნდა აიხსნას რომ ძველად, როდესაც საინგილოში ლეკები თარეშობდნენ და ბრძანებლობდნენ, ქართველობა ენისელში არა გაჰქრა და არ გაითქვიფა სხვა ეროვნებებში და ქრისტიანობაც შეინარჩუნა ქართულ ენასთან და ჩვეულებებთან ერთად, და შემდეგ კი გაცილებით უკეთესს პირობებში მოისპო, ისპობა და გვარდება ხალხი.

კარგა ხანია საინგილო ორ ბანაკად გაითიშა და დღეს უკვე საკმარისად ჩამოყალიბებულია ქრისტიანობა და მუსულმანობა, და ისეთი მდგომარეობაა, რომ ვეღარც ვერავის გააქრისტიანებ და ვეღარც ვერავის გაამუსულმანებ, (რასაკვირველია აქ მასიურ გაქრისტიანება-გამუსულმანებაზედა გვაქვს ლაპარაკი და არა თვითეულს მაგალითზე, რომელიც ყოველთვის იყვნენ და იქნებიან). დღეს, ღვთის წყალობით, ამ მისიამ თავის დრო და ჟამი მოსჭამა და ხელში შეგვრჩა მარტო-და მისიონერი, რომელიც დღეს ისეთ კაცს უჭირავს, რომელიც სინდისის თავისუფლების მომხრეა; ის ანტაგონიზმი და საფრთხე, რომელსაც ასე გაურბოდნენ მუსულმანი ინგილოები, ფაქტიურად თითქმის აღარც კი არსებობს. დრო გავა და მისიონერებიც მოისპობა ისევე, როგორც მოისპო დანარჩენს საქართველოში და მასთან ერთად ბოლო უნდა მოეღოს იმ ანტაგონიზმს მუსულმან და ქრისტიანთ შორის, რომელსაც მთავარ მიზეზად სთვლის ინგილოთა გადაგვარებისას ბ. რ. ინგილო გაზეთ „საქართველო"-ს ერთ-ერთ ნომერში.

ამგვარად, დღეს უკვე ცოტად თუ ბევრად ნიადაგი მომზადებულია სამოქმედოდ, დღეს უკვე დრო დადგა აქაც ეროვნულის შთაგონებისთვის, ეროვნულის იდეის გაღვიძებისთვის მუსულმან ინგილოებში, დღეს უკვე ისინი მტრულად აღარ უყურებენ ქართველობას და ყოველთვის ხაზგასმით აჩვენებენ, რომ ისინი თათრები არ არიან, არამედ მხოლოდ მუსულმანები. ამას წინად ბ. ზ. ჭიჭინაძე გაზეთ „სამშობლო"-ში ჰაიდარბეგ აბაშიძის საპასუხოდ სწერდა: მუსულმან ქართველებს იმიტომ ვეძახი თათრებსა, რომ ისინი ასე ეძახიან თავიანთს თავსო. აბა ახლა მიბრძანდით სოფ. ალიაბათში და ნახავთ, რომ „თათარს" ერთმანეთს მარტო ჩხუბის დროს უწოდებენ ხოლმე, როგორც სალანძღავ რამეს: „აი შე თათარო, შენ ყიზილბაშო"-ო. მიუხედავად ამისა, აქ გარდა მღვდლებისა, რომელთაც მარტოოდენ სახარება სჭერიათ ხელში უსჯულო ინგილოთა მოსარჯულებლად, სხვა არავინ მოსულა მათთან კეთილის ეროვნულის განზრახვით. ჩვენში ჭიჭინაძეები და კერესელიძეები არას დროს არ მოსულან ქართულის წიგნებით დატვირთულნი საშვილიშვილო, სამამულიშვილო საქმის გასაკეთებლად. ბ-ნებო,

ეხლა მაინც მოგვხედეთ, ეხლა მაინც გამოგვიგზავნეთ ზ. ჭიჭინაძისთანა ხალხში მოსიარულე-მოხეტიალე, წიგნებით და კეთილი სიტყვით დატვირთული ხალხი. მაგრამ, უკაცრავად ზ. ჭიჭინაძესთან—ასეთი მოსიარულეთა უფრო მეტს სარგებლობას მოუტანენ ინგილოებს ჰაიდარბეგ აბაშიძისთანა ქართველი მუსულმანები. რა კარგი იქნებოდა, რომ ეროვნული სულით აღსავსე ახალგაზდა მუსულმანთაგან შეექმნათ მთელი შტატი მოსიარულე მუსულმან ქართველ მასწავლებლებისა, დავტვირთოთ ისინი წიგნებით და სისტემატიურად ვგზავნოთ მუსულმან ქართველებში ეროვნული გრძნობის გასაღვიძებლად, წერა-კითხვის გასავრცელებლად და ქართული ენის შესანარჩუნებლად. ყველა ჩვენგანი მოვალე უნდა იყოს ხელი შეუწყოს ასეთს მოხეტიალეთ და ნივთიერი დახმარება გავუწიოთ. ვიდრე სკოლებს გავხსნიდეთ, ეს უფრო სასარგებლო, საჭირო და მიზნის ადვილად მისაღწევია.

მაშ ბ-ბო, რაღას უცდით ამ ქართველ მუსულმანთა გამოღვიძების დროს, საჭირო მომენტით ვისარგებლოთ, საჭიროა ამ უკვე მომწიფებულს საქმეს ვუშველოთ და ქართული კულტურა და სული შევიტანოთ ყველა საქართველოს სამუსულმანო ხალხებში.

ზ. ედილი.

## გზა და გზა

(გაგრძელება).

**დამზვრალი კვირტი.**

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ვაქირში მივედით. მეეტლემ მორიგებით მხოლოდ აქნობამდინ მოგვიყვანა და ახლა სიღნაღისაკენ გაუხვია. ვიდრე ჩვენ ახალ ეტლს ვიქირავებდით, მეგობრის რჩევით ადგილობრივ მასწავლებელთან შევიარეთ დასასვენებლად. იგი სასწავლებლის შენობაშივე სცხოვრობს. ეს მთავრობისა და ნახევრად ხალხის ხარჯით აგებული შენობა მართლაც სიმპატიურ შთაბეჭდილებას სტოვებს. ფართო ღია სარკმლებით, ევროპიული სტილი და სიხალვათე ადამიანს გულს გაუნათლებს. აი, ამის გამოა, რომ უბრალო სასწავლებლიდან სამინისტროს იგი ორკლასიანად გადაუკეთებია.

შინ შესვლისას თვითონ მასწავლებელი ბ-ნი ი. ჩ-ძე არ დაგვიხვდა ბინაზე: ბაზარში გასულიყო. დავაპირეთ უკან წამოსვლა, მაგრამ დიასახლისი აღარ მოგვეშვა.

შინ შესვლისას, სწორედ მოგახსენოთ, პირველი შთაბეჭდილება ვერ იყო სასურველი. კედლებზე გაკრულმა სურათებმა დასჩრდილა თვით შენობის მიერ გამოწვეული სიამე. აქ თქვენ ნახავდით ისეთ შაბლონ სურათებს, როგორიც არის ადამიანის ცხოვრება დაბადებიდან ვიდრე საფლავში არ ჩაჰყოფს ფეხს. აქვე ნახავდით მინინ და პაჟარსკის მიერ მოსკოველთა მოწოდებას. საოცარი იყო, რომ ჩვენ მწერალთა უქონელობას დართობია თვით რუს მწერალთა ისეთი სურათები, როგორიც არის პუშკინისა, ტოლსტოის. მაგრამ გემოვნების საკითხში ადამიანი თუ დღემდე ვერ შეთანხმებია მეორეს, ალბად იქაც ვერ შევთანხმდებით. განმარტება თვით მას მივანდოთ. მაგრამ ამაზე უფრო საინტერესო მოვლენა ის გახლდათ, რომ ამ დალოცვილიშვილს გასჭირებოდა ერთი მაინც არის ქართული გაზეთი გამოეწერა. კაცი, რომელსაც 35 წელზე მეტი უმსახურნია და უქართულ გაზეთოდ, საოცარია! მით უმეტეს, რომ მის მაგიდაზე ოფიციოზ „კავკაზის“ მეტი არ დამხვედრია. ნუ თუ ქართული ცხოვრება, ქართული აზროვნება, ვთქვათ, თუნდ მდარე, ყალბი და ცრუ არ აინტერესებდეს ქართველ ინტელიგენტს? ვფიქრობდი: რა უნდა იყოს მიზეზი? იქნებ ხელმოკლეობა? მაგრამ თუ რა ხელმოკლეობაა შესაძლებელი ვიგულისხმოთ, ესეც იქიდანა სჩანს, რომ მარტო ერთ მომგებიან და აწ უკვე გაფუჭებულ ბილეთებზე 15 მანეთზე მეტი დახარჯოდა დალოცვილიშვილს. საოცარია, არსად ისე, როგორც კახეთში, არ მინახია ასეთი ავადმყოფური გატაცება ბილეთებისადმი. ყველა გამდიდრების მოლოდინშია. ყველას ოთხი-ხუთი ბილეთი უყიდნია, არა თუ სოფლის ინტელიგენციას, ანუ მოინტელიგენტებს, არამედ უბრალო ვაჭრებს, გლეხ-კაცობასაც კი. აგენტებს ციგნებზე არა ნაკლებ უსარგებლნიათ და ძვირფასი ნიადაგი უშოვნიათ აქ სანავარდოდ. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ხალხზე ღმერთმაც და კაცმაც მოიცალა. ეს მაშინ, როდესაც ისეთ დაწესებულებათა საწევრო გადასახადზე, როგორიც წერა-კითხვისაა, სამი მანეთი ვერ გაუღიათ, ეს მაშინ, როცა ჟურნალ-გაზეთის ფასი რაღაც გამოუთქმელ ხარკად წარმოუდგენიათ, დიახ, აი, ასეთ დროს ფუჭი ბილეთებით და რაღაც საზღაპრო სიმდიდრის წყურვილით იგივე ხალხი 15 მან. არ იშურებს...

როდესაც თვით ბ-ნი ი. ჩ-ძე მობრძანდა, ოჯახმა მხიარული სახე მიიღო. ეს გახლავთ მეტად წყნარი შეხედულობის მოხუცი. ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას იღებთ პირველივე გამოსაუბრებისთანავე. ეს თუ გნებავთ, ერთგვარი ძველი ნაროდნიკია, სცხოვრობს ისე, როგორც შეეფერება სოფლის მყუდროობას დი თავის ინსპექციის გულწრფელ სამსახურში ჰლევს თავის უწყინარ დღეს. მას შვილებიცა ჰყავს. ჩიტებსავით გარს შემოეხვივნენ. მომესურვა გამეგო, რა სახით მიდიოდა ბავშვების აღზრდა. ერთს დავუძახე:

— შენი სახელი, პატარა?

— ირაკლი...

— გაიცინა, მხიარულად მოვიდა ჩემთან. მივეალერსე.

— რამდენი წლისა ხარ?

— ცამეტისა.

— სადა სწავლობ?

— სიღნაღში.

— ხომ გასწავლიან ქართულს?

— დიახ.

— აბა მითხარი, როგორ სჩიოდა აი ის პატარა შვლის ნუკრი, დედა რო მოუკლეს?...

— შვლის ნუკრი? არ ვიცი, არ მისწავლია.

— ან იქნება აი იმ ბებრუცუნა მგლის ამბავი იცოდე, „ამოდის ნათლებაო“... ხომ გახსოვს?

— არც ეგ...

— რა სახელმძღვანელოს გასწავლიან?

— „ქართველ მწერლებს“.

— მერე არ იცი ვინ არის ვაჟა? იქნებ რაიმე ლექსი მითხრა.

— არა, ვაჟა არც გამიგონია და არც რამე ვიცი. აქ მამა ჩამოერია ვექილად. აღმოჩნდა, ქართულ ენაში კოჭლობდა. რუსული კი მშვენივრად სცოდნია. მაგრამ აქ ბავშვის ბრალი სრულებითაც არ ყოფილა: მასწავლებელი არას ასწავლის. ნაკლები ყურადღება აქვს მიპყრობილი ამ საგანზეო. ქართული ენის აბუჩად აგდება სიღნაღის სასწავლებელში თურმე ჩვეულებრივი მოვლენაა და თუ რამ ბავშვს შეუძენია, ისიც მისი მეოხებით. გადავწყვიტე, გამოცდა ბოლომდე მიმეყვანა.

— კარგი, ვაჟა არ გისწავლიათ.. იქნებ მითხრა, ვინ არიან ჩვენი დიდი მწერლები?

— აკაკი.

— კარგი. აბა იქნებ რამე მითხრა მის „თავგადასავალიდან“.

ბავშვს სახე გაუბრწყინდა და ყველა კითხვაზე სწორი პასუხი მომცა, თუ აკაკი სად გაიზარდა, როგორ ზრდიდენ, სურათები შინ დაბრუნებისა, გუგულის ამბავი, გამოცდა, გახურებულ ჭალის ამბავი და სხვა. აკაკის შემდეგ მიამბო „მიწა“ შ. არაგვისპირელისა. აქაც კითხვებზე სწორი პასუხი მომცა. მიამა. ბავშვს უტყუარი ნიჭი ეტყობოდა. ოღონდ ის მაღონებდა, რომ იგი პირდაპირ სამშობლო ნიადაგს მოსწყვეტოდა და ადრე და მალე უხშობდნენ გზას სამშობლოს ყვავილად გაფურჩვნილიყო.

— დამზვრალი ყვავილის კვირტი, დამზვრალი კვირტი,—ვჩურჩულებდი ნაღვლიანად, როცა მასპინძელს გამოვეთხოვეთ და ეტლის საშოვნელად გამოველით.

**ანაგა და ვაქირი.**

გრძნობა წინ უსწრობს ნაფიქრალსა, კალამი კი ორივეს. უნდა შევჩერდეთ ამ ორ გავლილ სოფელზე.

ანაგა და ვაქირი ერთმანეთს დიდად წააგვანან. მცხოვრებთა რიცხვიც თითქმის ერთი და იგივეა: რვაას-ცხრაასი. მდებარეობა ორთავეს კეკლუცი აქვთ, ერთსა და იმავე ფერდობს შეჰფენვიან. წინ გადაჰყურებენ ალაზნის ველს, ხელიხელს გადუხვევიათ, სტკბებიან გაღმა კავკასიონის მწვერვალთა მზერით, ხოლო მაღლიდან მათ გადმოჰყურებთ სიღნაღის ციხე და წმ. ნინოს მონასტერი. გინახავთ ზიჩის მიერ ნახატი ვეფხის ტყაოსნის ქაჯეთის ციხე? როგორ არ გენახვებათ. თუ არ გინახავთ, აიღეთ და დააცქერდით. ქვეშ ქაჯეთის ციხის ნაცვლად მიაწერეთ „სიღნაღის გალავანი“ და მიიღებთ ამ ლამაზ მდებარეობის წარმოდგენას. ადგილმდებარეობის სიტურფეს დართვია მცხოვრებთა სასურველი მოძრაობა. აქ, ანაგაში, სიცოცხლე სდუღს. აქვთ ორი სასწავლებელი, სასოფლო ქსენონი, საკრედიტო ამხანაგობა. ამის გარდა აქ მეტი ბაზრობაა, ვიდრე კარდანახში და ვაქირში. შაბათობით მის ბაზრობას ვაქირიც უერთდება ხოლმე. ამ მხრივ, თქმა არ უნდა, ანაგას დიდი მომავალი აქვს. ჯერ ეხლაც სიღნაღს ბევრი მოსტაცა. სხვა სოფლებთან ერთად მეტოქეობას უწევს მას და რა იქნება შემდეგ, ეს ადვილი წარმოსადგენია, რადგანაც ანაგას ის აუცილებელი უპირატესობა აქვს, რომ უფრო ხელსაყრელია სწრაფი ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლად, მიდგომითაც აქ ადამიანი ადვილად უდგება, ვიდრე სიღნაღს და რკინის გზასთანაც კარგა დაახლოვებულია. სიღნაღი, როგორც მოგეხსენებათ, შიშიანობის გამოისად ზედ მწვერვალზეა გაშენებული, სხვა რო არა ვთქვათ რა, უგზოობა აჭირვებს საქმეს, უწინ იგი სტრატეგიული პუნქტი იყო, იქ ილტვოდნენ მახლობელი სოფლები და უნებურად მისი მნიშვნელობაც იზრდებოდა. მაგრამ დღევანდელმა ცხოვრების პირობებმა ეხლა მისი ციხე-გალავანი უბრალო დეკორაციად გარდაქმნა და მნიშვნელობის სიმძიმე დაბლა სოფლებისკენ გადმოჰხარა. ამ სოფლებში პირველი კანდიდატი, როგორც ვსთქვით, უეჭველია, ანაგა იქნება. ოღონდ დღევანდელი ვაჭრობა ჩარჩების ხელშია ჩავარდნილი და დიდი ბრძოლაა საჭირო, ანაგამ მათს ბრჭყალებს თავი დააღწიოს. ამას ერთვის კულტურული ჩამორჩენაც. აქვთ ბიბლიოთეკა, მაგრამ არაა სასურველად დაყენებული. სკოლებითაც ვერ შეუძლიან შეიქოს თავი. ინტელიგენცია ნაკლებია. მაგრამ ყველა ეს ნაკლულევანება დროებითია. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე ყოველი დაბრკოლება გადალახულ იქნება და ანაგა სასურველ განვითარების წერტილს ააღწევს.

ანაგას ძმური ხელი გადუხვევია კარდანახისთვის და, განსაკუთრებით, ვაქირისთვის. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ აქაურ სასწავლებლის სიმშვენიერეზე, რის გამოც რუდოლფმა ორკლასიან სასწავლებლად გადააკეთებინა ის. აქაც ინტელიგენტთა კონტიგენტი ფრიად მცირეა. ამ სოფელსაც თითქმის ყოველისფერი მოეპოვება, რაც საჭიროა პროვინციისთვის! ბიბლიოთეკა ახლად გახსნილია, მით ჯერჯერობით სასურველად ვერ სარგებლობენ: ალბად ჯერ კიდევ მისი მნიშვნელობა არ უწყიან. ომმა, როგორც ყოველგან, ისე აქაც სიძვირე ჩამოაგდო. ამას დაერთო ავდრიანობაც, ვენახის ავადმყოფობა. ყველა ამან საშინელი გავლენა იქონია გლეხკაცობაზე. მოგეხსენებათ, აქ ხვნა-თესვას ნაკლებ მისდევენ, მათი ცხოვრება ვენახზე ჰკიდია. წრეულს კი ყველამ ხელი გადაიბანა. ალლაჰმა უწყის, რამდენი რამ არ გამოსცადეს დღემდის და ვინ უწყის, კიდევ რა არ მოელისთ...

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

## გერმანელ ტყვეებთან

„რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ასწერს გერმანელ ტყვეებთან შეხვედრას.

— ბევრია გერმანელი ტყვეები?— ვკითხე ყაზახს.

— არა, ცოტაა. მომიგო პასუხად. მაგრამ მან არ იცოდა, რომ ზოგჯერ გერმანელები ავსტრიელთა ფორმას გადაიცვამენ ხოლმე. მათ მალე გამოარჩევს კაცი ავსტრიელებიდან. ხან და ხან ავსტრიელები თვითონ თხოულობენ, რომ გერმანელებს დააშორონ, რადგან გერმანელები სასტიკნი არიან. როდესაც ტყვეები მოჰყავთ, ემჩნევათ სახეზე სიხარული, რომ სიკვდილს გადარჩნენ. შემთხვევა მოგვეცა გამოვლაპარაკებოდით გერმანელ ტყვეებს. ავსტრიელნი არასაინტერესონი არიან, მათი პასუხი ერთი და იგივეა. გერმანელებთან გამოლაპარაკების იმედი ნაკლებად გვქონდა, რადგან ისინი სიტყვას არ დასძრავენ, არ უყვართ ბევრი ლაპარაკი, მაგრამ ნამდვილად ასეთი აზრი გადაჭარბებული გამოდგა. გერმანელ ტყვეთა შორის აღმოჩნდა სტუდენტი, ბერლინელი მუშა და მისიონერი მქადაგებელი. ყოველმა მათგანმა სიამოვნებით დაიწყო ლაპარაკი. ვგონებ, რომ მათ თვითონ გულით უნდოდათ ჩვენთან საუბარი.

სტუდენტმა თავის თავი უპარტიოდ გამოაცხადა. ბერლინის პოლიტეხნიკუმი გაეთავებინა. მისის აზრით, ომი მალე გათავდება. გამეღიმა როცა მან ეს წარმოსთქვა. ვკითხე: მაინც, როდის გათავდება-მეთქი?

— ერთი თვის შემდეგ.

— როგორ თუ ერთი თვის შემდეგ!

— როცა ჩვენ ვარშავას ავიღებთ; ჩვენ ასე გვეუბნებიან და ეს ასეც მოხდებაო.

— მერე, დარწმუნებული ხართ, რომ ვარშავას უეჭველად აიღებთ და ისიც ერთი თვის შემდეგ?

— დიახ, რა თქმა უნდა!

გერმანელის კვეხნა აუტანელია. მაგრამ ცარიელი სიტყვა სტუდენტისა ანგარიშში ჩასაგდები არ იყო. იგი თავიანთ ოფიცრების სიტყვებს ემყარებოდა და გაიძახოდა: ომი მაშინ დასრულდება, როცა ვარშავას ავიღებთ და პოლონეთის საზღვრებს გავასწორებთო. სტუდენტმა გულ-ახდით სთქვა, რომ გერმანელები დაღლილნი და თავგამოდებულნი მოდიან, რადგან ომის ალთქმა ასულდგმულებთ და ალთქმის ასრულების შემდეგ კიდეც გათავდება ომი; ამის გულისთვის მოისწრაფიან წინ, თორემ სხვაფრივ რომ იყოს...

— რათა გგონიათ, რომ რუსეთი ერთის თვის შემდეგ გერმანიასთან ზავს შეჰკრავს და შერიგდება?—ვეკითხები სტუდენტს.

იგი გაკვირვებული მიპასუხებს—მაშ ვარშავის აღების შემდეგ სხვაფრივ რაღა უნდა მოხდეს?

— თუნდაც ვარშავა აიღონ გერმანელებმა. მერე რა?

სტუდენტმა თავი გაიქნია და არაფერი მიპასუხა. ემჩნეოდა, რომ პასუხისთვის სიტყვა არ ჰქონდა. სიჩუმის შემდეგ ხმა ამოიღო და სთქვა:

— შუა გულ რუსეთში ჩვენ არ წამოვალთ. არა, ნაპოლეონის შეცდომას ჩვენ არ გავიმეორებთ, თუმცა, ნაპოლეონზე მეტი საბუთი ჩვენა გვაქვს წინ წამოსვლისა.

ისე ლაპარაკობდა სტუდენტი, თითქოს გერმანელების სატახტო ქალაქის გაზეთი წაეკითხოს. ბოლოს მან დაასკვნა, რომ გერმანელების საკითხი მცირე და მოკრძალებითი საკითხიაო:

— უნდა მოვსჭრათ პოლონეთი და ვისლასთან თხრილებში ჩავსაფრდეთო. რამდენი ვუმტკიცეთ სტუდენტს, რომ რაც სთქვა მან არ განხორციელდება და თუნდ მოხდეს კიდეც, რომ ამით ომი არ დასრულდება, პირიქით, უფრო გაგრძელდებაო, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდა:

— ჩვენ ასე გვეუბნებიან და ეს მართალიაო.

მერე მქადაგებელ მისიონერთან მივედით. პატივცემული მღვდელი ჯარისკაცის ტანისამოსში იყო გამოწყობილი, და იმ ხელით, რომლითაც მას ერთხელ სახარება ეჭირა, ეხლა თოფს ისროდა. ვუთხარი:

— როგორ შეგფერით ხალხის ხოცვა, თქვენ უნდა მშვიდობიანობას ჰქადაგებდეთ.

— მაშ რა ვქნათ, ჩვენი სამშობლო განსაცდელშიაო,—სხარტულად და მოკლედ მიპასუხა მებრძოლმა მღვდელმა.

ეს მქადაგებელი მისიონერი თავიანთ დაჭრილებს უვლიდა.

ბერლინელი მუშა სოციალ-დემოკრატი აღმოჩნდა. ჩვენ ვუთხარით, რომ იგი სოციალ-დემოკრატების პროგრამის წინაალმდეგ ამხედრებულა, და ეს სოციალ-დემოკრატს არ შეჰფერის, მაგრამ მუშამაც იგივე გვიპასუხა:

— სამშობლო განსაცდელშიაო.

ტყვეებმა ერთ ადგილას დაისვენეს და შემდეგ [illegible]—მიილეს—აიშალენით. [illegible] გზას გაუდგნენ.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან. | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ | დღ. |

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—30

წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—20)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეჯველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.